ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 02-02/107

(კონსოლიდირებული ტენდერი CON210000479)

ქ. თბილისი „დეკემბერი'', 2021 წელი

ერთი მხრივ - აჭარის ა.რ. სოფლის მეურნეობის სამინისტრო, წარმოდგენილი მინისტრის გიორგი სურმანიძის სახით და მეორე მხრივ - შპს ,,კავკასუს მოტორსი" წარმოდგენილი დირექტორის გიორგი ამაშუკელის სახით, ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ კონსოლიდირებული ტენდერის CON210000479, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 20[2] მუხლის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 14 დეკემბრის №14 ბრძანებით დამტკიცებული „კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ", აგრეთვე, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 22 ნოემბრის N2049 განკარგულების „2021,2022 და 2023 წლების განმავლობაში სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის საშუალებით განხორციელების თაობაზე" პირველი მუხლის „ბ" ქვეპუნქტის („ავტოსატრანსპორტო საშუალებების სახელმწიფო შესყიდვის 2021-2022 წლების კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ი) საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, თანდართული ყველა დოკუმენტით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნითი შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4 „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" - იურიდიული/ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში

1.6 „შესყიდვის ობიექტი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.
1.7 სატენდერო კომისია" – „2021,2022 და 2023 წლების განმავლობაში სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2021 წლის 22 ნოემბრის №2049 განკარგულების საფუძველზე, შექმნილი სატენდერო კომისია
1.8 სატენდერო დოკუმენტაცია - 2021 წლის კონსოლიდირებული ტენდერის (CON210000479) სატენდერო დოკუმენტაცია, რომელიც შესაძლოა დანართის სახით ფიზიკურად არ დაერთოს წინამდებარე ხელშეკრულებას, მაგრამ წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2.ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს წინამდებარე ხელშკრულების დანართი №1-ით განსაზღვრული სატრანსპორტო საშუალებ(ებ)ის (შემდგომში - ავტომობილი) (CPV - 34100000) სახელმწიფო შესყიდვა, რომელიც აკმაყოფილებს კონსოლიდირებული ტენდერის (CON210000479)

სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკურ მაჩვენებლებს.

2.2. შესყიდვის ობიექტია 3 (სამი ერთეული) ავტომობილი.

2.3. შესყიდვის ობიექტის აღწერილობა, ტექნიკური მახასიათებლები, განისაზღვრება დანართი №1-ით,რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.4. შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი: CPV-34100000

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 211 815,0 (ორასთერთმეტი ათას რვაასთხუთმეტი) ლარი.

3.2. ერთეული სატრანსპორტო საშუალების ღირებულებაა 70 605,0 (სამოცდაათი ათას ექვსასხუთი) ლარი.

3.3. ხელშეკრულების 3.2. პუნქტში აღნიშნულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი გადასახადი.

3.4. დაფინანსების წყარო - 2021 წლის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი, გარანტია, მიწოდების ვადები და ადგილი

4.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს სატენდერო დოკუმენტაციის 1.4.1 ქვეპუნქტის შესაბამისად.

4.3. ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილ(ებ)ია: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი #197.

4.4 ავტომანქანაზე გარანტია უნდა ვრცელდებოდეს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 წელი ძირითად აგრეგატებზე (ძრავი, ხიდი, გადაცემათა კოლოფი), 3 წელი ან 150000 კილომეტრი (რომელიც ადრე შესრულდება) სრულ ავტომანქანაზე, გარდა სწრაფცვეთადი ნაწილებისა და მასალებისა (ანტიფრიზი, ფრეონი, საბურავები, ელექტრონათურები, ელექტრომცველები, შუშის საწმენდი ჯაგრისები,გადაცემათა კოლოფის გადაბმულობის ქურო, გადაცემათა კოლოფის მომჭიმი საკისარი, გადაცემათა კოლოფის გადაბმულობის დისკი და საყრდენი დისკი);

4.5 საგარანტიო პერიოდის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია, ავტომობილზე გამოვლენილი ნებისმიერი საწარმოო დეფექტის აღმოფხვრა, შეკეთება ან საქონლის ახლით შეცვლა განახორციელოს საკუთარი სახსრებით, შემსყიდველის მიერ წერილობითი მოთხოვნიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაოდღის ვადაში. აღნიშნული ვადა, მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია გაიზარდოს არაუმეტეს 30კალენდარულ დღემდე.

4.6 საგარანტიო პირობებით განსაზღვრული მოთხოვნები, ძალაშია მთელი საგარანტიო ვადის განმავლობაში, მიუხედავად სატრანსპორტო საშუალების შესყიდვის ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვისა. ამასთან, საგარანტიო პერიოდში ტექ-მომსახურების გაწევისას გამოყენებული სათადარიგო ნაწილები/საცხებ-საპოხი მასალები უნდა იყოს ახალი (ექსპლუატაციაში არმყოფი) და მწარმოებლის მიერ რეკომენდირებული.

4.7 თანმდევი საგარანტიო პირობების ფარგლებში, გეგმიური ფასიანი მომსახურების განხორციელება უნდა მოხდეს დანართი #2-ით წარმოდგენილ ცხრილში დაფიქსირებული ფასების შესაბამისად. მიმწოდებელმა გეგმიური მომსახურების ჩატარება უნდა უზრუნველყოს შემსყიდველის

მოთხოვნიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის განმავლობაში.

4.8 თუ სატრანსპორტო საშუალების მიწოდებიდან 30 კალენდარული დღის ან 1 000 კმ. გარბენის შემთხვევაში (რომელიც უფრო ადრე დადგება) ავტომობილს აღმოაჩნდება საწარმოო დეფექტი ძირითად აგრეგატზე (ძრავა, გადაცემათა კოლოფი, ხიდი) მიმწოდებელი ვალდებულია სატრანსპორტო საშუალება შეცვალოს ახლით, საწარმოო დეფექტის დადგენიდან 90 კალენდარული დღის განმავლობაში, თუ აღნიშნულ ავტომობილს არ გააჩნია საწარმოო დეფექტის გარდა სხვა დაზიანება (ბუნებრივი ცვეთის გათვალისწინებით .

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება სასქონლო ზედნადების/ანგარიშფაქტურის წარმოდგენისა და მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ შესაბამისი უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

5.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 5.1. ქვეპუნქტში აღნიშნული შესყიდვის ობიექტის მიწოდების მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირები არიან სამინისტროს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი (სამეურნეო-ტექნიკურ უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი) გენადი გობაძე, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან დირექტორი გიორგი ამაშუკელი.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში და უნდა მოიცავდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

6.2. შემსყიდველის მიერ ანგარიშსწორება განხორციელდება წინასწარი ანგარიშსწორების ფორმით, 2021 წლის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 211 815,00 ლარის ოდენობით, რომელიც შეადგენს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 100%-ს.

6.4. წინასწარი ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი წინასწარ გადასახდელი თანხის 50 %-ის ოდენობის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების ან/და სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური“-ს მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული უპირობო (გარანტიით გათვალისწინებული თანხა შემსყიდველმა უნდა მიიღოს ყოველგვარი დამატებითი განმარტებებისა და მტკიცებულებების წარდგენის გარეშე, პირველი მოთხოვნისთანავე) და გამოუთხოვადი გარანტიის საფუძველზე.

შენიშვნა: ვინაიდან შპს ,,კავკასუს მოტორსი“ რეგისტრირებულია თეთრ სიაში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობები“-ს მე-10 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის თანახმად შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგენს წინასწარ გადასახდელი თანხის ოდენობის ნახევარს.

6.3. მიმწოდებლის მიერ წინასწარი ანგარიშსწორების გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში. შემსყიდველის მიერ ანგარიშსწორება განხორციელდება წინასწარი ანგარიშსწორების გარანტიის წარმოდგენიდან, ამ ხელშეკრულების 6.1. პუნქტის გათვალისწინებით, არაუგვიანეს 6 (ექვსი) სამუშაო დღის ვადაში.

6.6. წინასწარი ანგარიშსწორების გარანტიის მოქმედების ვადა უნდა განისაზღვრებოდეს არანაკლებ ხელშეკრულებით გათვალისწინებულის საქონლის მიწოდებიდან 30 კალენდარული დღით.

6.7. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიაში არ უნდა იყოს მითითებული, რომ გარანტია მცირდება შესრულების პროპორციულად.

6.8. ავანსის შემთხვევაში ანგარიშსწორება განხორციელდება ავანსის სახით გადახდილი თანხის სრულად გამოქვითვის შემდეგ.

7. მხარეთა ვალდებულებები და უფლებები

7.1. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.
გ) დაიცვას (CON210000479) ტენდერში მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ დანართ N2-ში მითითებულიპირობები და ვადები.
7.2. შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) მიმწოდებლისაგან მოითხოვოს შესყიდვის ობიექტის მიწოდება კონსოლიდირებული ტენდერის
სატენდერო წინადადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ბ) განახორციელოს სატრანსპორტო საშუალებების ინსპექტირება, რაც შეიძლება გულისხმობდეს სატრანსპორტო საშუალების ვიზუალურ შემოწმებას ან შესაბამის ექსპერტიზას.

გ) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მისცეს მას მითითება ვალდებულებების დარღვევის გამოსწორების შესახებ ან მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით.

7.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრულ საგარანტიო მომსახურების პერიოდში აღმოჩენილი ნაკლი ან დეფექტი გამოასწოროს ხელშეკრულებაში მითითებულ ვადაში;

გ) ხელშეკრულების შესრულების პროცესში წამოჭრილ გაუთვალისწინებელ ხელშემშლელ გარემოებებთან დაკავშირებით, დაუყოვნებლივ გაუგზავნოს შემსყიდველს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ;

დ) უზრუნველყოს სატრანსპორტო საშუალებების უკან გაწვევა იმ შემთხვევაში თუ სატრანსპორტო საშუალებების მწარმოებელი ქარხანა საწარმოო დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში განახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს სატრანსპორტო საშუალებების უკან გაწვევის მიზნით.

ე) უზრუნველყოს სატრანსპორტო საშუალებების ახლით ჩანაცვლება თუ სატრანსპორტო საშუალების მიწოდებიდან 30 კალენდარული დღის ან 1 000 კმ. გარბენის შემთხვევაში (რომელიც უფრო ადრე დადგება) ავტომობილს აღმოაჩნდება საწარმოო დეფექტი ძირითად აგრეგატზე (ძრავა, გადაცემათა კოლოფი, ხიდი).

7.4. მიმწოდებელს უფლება აქვს:

მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით

გათვალისწინებული პირობებით.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას:

8.1. ხელშეკრულების პირობების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ვალდებულების დარღვევით მიწოდებულისაქონლის ღირებულების 2 პროცენტის ოდენობით.

8.2. აღმოჩენილი დეფექტის, ნაკლის გამოსწორებისათვის ან/და შეცვლისათვის მიმწოდებელმა თუ გადააცილა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულების შესრულების ვადას, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვადაგადაცილებით მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების 0,5 პროცენტის ოდენობით.

8.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის დარღვევისას, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვადაგადაცილებით მიწოდებული შესყიდვის ობიექტის 0,1 პროცენტის ოდენობით.

8.4 ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას გადაიხადოს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,1 პროცენტის ოდენობით.

9. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

9.1. ვინაიდან სახელშეკრულებო ღირებულება აღემატება 200 000 ლარს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებელის მიერ ხელშეკრულების გაფორმებამდე წარმოდგენილია ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო (გარანტიით გათვალისწინებული თანხა შემსყიდველმა უნდა მიიღოს ყოველგვარი დამატებითი განმარტებებისა და მტკიცებულებების წარდგენის გარეშე, პირველი მოთხოვნისთანავე) გამოუთხოვადი სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური“-ს მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიის სს ,,დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო“-ს მიერ 2021 წლის 16 დეკმბერს გაცემული NGB 4406/21 გარანტია ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2,5%-ის ოდენობით (5 296,0 ლარზე), რომლის ოდენობა არ მცირდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების პროპორციულად. გარანტია წარმოდგენილია სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური“-ს მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, - ეროვნულ ვალუტაში.

შენიშვნა: ვინაიდან შპს ,,კავკასუს მოტორსი“ რეგისტრირებულია თეთრ სიაში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობები“-ს მე-10 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის თანახმად შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგენს მოთხოვნილი ოდენობის ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის ნახევარს.

9.2. ხელშეკრულების შესრულების გარანტიის მოქმედების ვადაა 2022 წლის 11 ოქტომბრის ჩათვლით.

9.3. ხელშეკრულების შესრულების გარანტია წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. (11.10.2022წ. გარანტია # NGB 4406/21)

9.4. გარანტია უკან დაუბრუნდება მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ, მოთხოვნიდან არაუგვინეს 14 კალენდარული დღის ვადაში.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 17 ოქტომბრის ჩათვლით.
10.2. ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2022 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობებისშეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წინასწარ. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.2 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

11.3 თუ წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობითშეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალით და აღნიშნული უშუალო ზემოქმედებას ახდენს წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში წინამდებარე ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისდა მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგანპასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვითაგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

12.3. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობის გამო და მხარეები შეწყვეტენ წინამდებარე ხელშეკრულებას, მათ არ აქვთკომპენსაციის მოთხოვნის უფლება.
12.4. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა დადასტურებულ უნდა იყოს უფლებამოსილი სახელმწიფოორგანოს მიერ.

13. ხელშეკრულების კონტროლის პირობები

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი, შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად.

13.2. კონტროლის აქტში მითითებული უნდა იყოს აღმოჩენილი დეფექტი ან ნაკლი.

13.3. ვიზუალური დათვალიერების დროს, დეფექტის ან/და ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით ან/და სატელეფონო კავშირით შეატყობინოს მიმწოდებელს აღმოჩენილი დეფექტის, ნაკლის შესახებ და მოსთხოვოს მისი აღმოფხვრა ან შეცვლა თავისი ხარჯით.

13.4. კონტროლის აქტის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, ჩატარდება მოწოდებული შესყიდვის ობიექტის ექსპერტიზა. იმ შემთხვევაში თუ ექსპერტიზა დაადგენს, რომ შესყიდვის ობიექტი არ შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პარამეტრებსა და მოთხოვნებს, ექსპერტიზის ხარჯებს აანაზღაურებს მიმწოდებელი, ხოლო შესაბამისობის შემთხვევაში - ექსპერტიზის ხარჯებს აანაზღაურებს შემსყიდველი.

13.5. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ კონტროლთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს

13.6. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს სამინისტროს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი (სამეურნეო-ტექნიკურ უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი) გენადი გობაძე.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა, ცვლილების შეტანა

14.1. მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობითა და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის (საქონლის მიწოდების ვადის 15-ზე მეტი სამუშაო დღით გადაცილება) ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია დასაბუთებულად მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

14.2. ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე შემსყიდველის მომართვის შემთხვევაში, სატენდერო კომისია, უფლებამოსილია იმსჯელოს კონკრეტული ხელშეკრულების ან/და კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში გაფორმებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის შეწყვეტის თაობაზე.

14.3 სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში, მიმწოდებელს ჩამოერთმევა ხელშეკრულებისათვის წარმოდგენილი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია. ხოლო თუ ხელშეკრულების ღირებულება ნაკლებია 200 000 ლარზე შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

14.4. ხელშეკრულების ცალკეული პირობების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულების შესრულებისაგან.

14.5. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

15. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

15.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა

შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

15.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16. კონფიდენციალურობა

16.1. მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ ერთმანეთის საკუთრებას, არ გახადონ მესამე პირთათვის ცნობილი ყველა ის ინფორმაცია, რომელიც ითვლება კონფიდენციალურად.

16.2. ვალდებულება კონფიდენციალურობის შესახებ ძალაში რჩება ხელშეკრულების დამთავრების შემდეგაც.

17. სხვა პირობები

17.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

17.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორემხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

17.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

18. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
სოფლის მეურნეობის სამინისტრო
ქ. ბათუმი, აკ. მ. კომახიძის ქ. #119
ს/კ 245428265

Ministry of Agriculture of Adjara Autonomous Republic

Подписано цифровой подписью: Ministry of Agriculture of Adjara Autonomous Republic
Дата: 2021.12.22 16:23:11 +04'00'

გიორგი სურმანიძე
მინისტრი

,,მიმწოდებელი”

შპს ,,კავკასუს მოტორსი“
მის: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი #197
ს/კ 436031768
ტელ: +995 32 2527 527
ელ. ფოსტა: sales@mitsubishi.ge
მიმღ. ბანკი: სს ვი თი ბი ბანკი
ა/ნ GE50VT7000003333333333
ბ/კ: UGEBGE22

გიორგი ამაშუკელი
დირექტორი

CAUCASUS MOTORS LLC

Digitally signed by CAUCASUS MOTORS LLC
Date: 2021.12.22 16:35:06 +04'00'

"ფასების ცხრილი" (ცხრილი #1)

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება	რაოდენობა (ცალი)	მწარმოებელი ქვეყანა	ერთეული ავტომანქანის ღირებულება (ზღვრული)	ერთეული ავტომანქანის ღირებულება (ლარი)	150 000 კმ-ზე ერთეული ავტომანქანის გეგმიური მომსახურების ღირებულება (ლარი)	საწვავის ღირებულება (150 000 კმ.)	ერთეული ავტომანქანის ფლობის ღირებულება (ლარი)	ჯამური ღირებულება (არაუმეტეს)	საგარანტიო ვადა (არანაკლებ)	კომენტარი
1	**Mitsubishi L 200** 2.4 დიზელი, 134 ც/ძ, 6 საფ.მექანიკური კოლოფი	3	Mitsubishi Motors Corporation ტაილანდი	**70 605,00**	**70605,00**	**7872,00**	**24000,00**	**102 477,00**	**307 431,00**	5 წელი ძირითად აგრეგატებზე (ძრავი, ხიდი, გადაცემათა კოლოფი), 3 წელი ან 150000 კილომეტრი (რომელიც ადრე შესრულდება) სრულ ავტომანქანაზე, გარდა სწრაფცვეთადი ნაწილებისა და მასალებისა (ანტიფრიზი, ფრეონი, საბურავები, ელექტრონათურები, ელექტრომცველები, შუშის საწმენდი ჯაგრისები, გადაცემათა კოლოფის გადაბმულობის ქურო, გადაცემათა კოლოფის მომჭიმი საკისარი, გადაცემათა კოლოფის გადაბმულობის დისკი და საყრდენი დისკი);	**1. ავტომობილის ღირებულება მოცემულია - აქციზის გადასახადის გათვალოისწინებით (მსუბუქ ავტომობილებზე დღგ-ს გადასახადი არ მოქმედებს); 2. ავტონაწილების ღირებულება გათვალისწინებულია დღგ-ს ჩათვლით;**

ავტომობილის გეგმიური მომსახურების ღირებულების ცხრილი (ცხრილი #2)

#	სათადარიგო ნაწილების დასახელება	ბრენდი- მოდელი	მახასიათებელი	ერთ ჯერზე შესაცვლელი საქონლის რაოდენობა	ერთ.ფასი	სერვისის ღირებულება	1000 კმ.	11000 კმ.	21000 კმ.	31000 კმ.	41000 კმ.
1	ძრავის ზეთის ხარჯი	LOTOS	5W30	7,4	20	15,00	163,00	163,00	163,00	163,00	163,00
2	ძრავის ზეთის ფილტრების ხარჯი;	MITSUBISHI		1	40	-	40,00	40,00	40,00	40,00	40,00
3	ჰაერის ფილტრის ხარჯი;	MITSUBISHI		1	70	-			70,00		70,00
4	წინა სამუხრუჭე ხუნდების ხარჯი;	MITSUBISHI		1	260	20,00		280,00		280,00	
5	უკანა სამუხრუჭე ხუნდების ხარჯი;	MITSUBISHI		1	300	50,00					
6	კონდიციონერის ფილტრის ხარჯი;	MITSUBISHI		1	71	10,00				81,00	
7	ანთების სანთლები;			-	-	-					
8	ძრავის ღვედი (არსებობის შემთხვევაში);			-	-	-					
9	საწვავის ფილტრი;	MITSUBISHI		1	75	20,00			95,00		95,00
10	სავალი ნაწილის შეპოხვა;	MOBIL		1		11,00	11,00	11,00	11,00	11,00	11,00
11	ხიდის ზეთი;	LOTOS	80W90	11	21	60,00		291,00			
	ჯამი ლარში:						**214,00**	**785,00**	**379,00**	**575,00**	**379,00**

#	51000 კმ.	61000 კმ.	71000 კმ.	81000 კმ.	91000 კმ.	101000 კმ.	111000 კმ.	121000 კმ.	131000 კმ.	141000 კმ.	ჯამი
1	163,00	163,00	163,00	163,00	163,00	163,00	163,00	163,00	163,00	163,00	**2 445,00**
2	40,00	40,00	40,00	40,00	40,00	40,00	40,00	40,00	40,00	40,00	**600,00**
3		70,00		70,00		70,00		70,00		70,00	**490,00**
4	280,00		280,00		280,00		280,00		280,00		**1 960,00**
5				350,00							**350,00**
6		81,00			81,00			81,00			**324,00**
7											-
8											-
9		95,00		95,00		95,00		95,00		95,00	**665,00**
10	11,00	11,00	11,00	11,00	11,00	11,00	11,00	11,00	11,00	11,00	**165,00**
11		291,00					291,00				**873,00**
ჯამი ლარში:	**494,00**	**751,00**	**494,00**	**729,00**	**575,00**	**379,00**	**785,00**	**460,00**	**494,00**	**379,00**	**7 872,00**

* შპს კავკასუს მოტორსი"-ს მიერ წარდგენილი სერვისის მომსახურების განფასება ძალაშია ავტომობილის საგარანტიო პირობის ამოწურვამდე.

* საგარანტიო პერიოდში ტექ-მომსახურების გაწევისას გამოყენებული სათადარიგო ნაწილები/საცხებ-საპოხი მასალები იქნება ახალი (ექსპლუატაციაში არმყოფი) და მწარმოებლის მიერ რეკომენდირებული.

* 150 ათას კილომეტრზე ფლობის ღირებულების ფარგლებში ვალდებულებას ვიღებთ მოგაწოდოთ ხუნდები, საჭიროების შემთხვევაში, წინა სულ მცირე შვიდჯერ, ხოლო უკანა სულ მცირე ოთხჯერ ტენდერის პირობების შესაბამისად

* ნებისმიერი საწარმოო დეფექტის აღმოფხვრა, შეკეთება ან საქონლის ახლით შეცვლა განხორციელდება ჩვენი სახსრებით, შემსყიდველის მიერ წერილობითი მოთხოვნიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნული ვადა, მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია გაიზარდოს არაუმეტეს 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღემდე. გეგმიური მომსახურების გაწევის ვადაა 2 სამუშაო დღე

CAUCASUS MOTORS LLC

Digitally signed by CAUCASUS MOTORS LLC
Date: 2021.12.22 16:35:23 +04'00'

ცხენის ძალა (არანაკლებ)	102	134
გადაცემათა კოლოფი	მექანიკური ან/და გაუმჯობესებული	მექანიკური
გადაცემათა კოლოფის საფეხურები (არანაკლებ)	5	6
სიგრძე (არანაკლებ)	5 000 მმ	5 300 მმ
სიგანე (არანაკლებ)	1 755 მმ	1 815 მმ
სიმაღლე არანაკლებ	1 760 მმ	1 775 მმ
აუცილებელი მოთხოვნა	NCAP (ევრო ქრაშტესტი), IIHS (ამერიკული ქრაშტესტი) ან JNCAP (იაპონური ქრაშტესტი)	NCAP (ევრო ქრაშტესტი)
საგარანტიო პირობები	5 წელი ძირითად აგრეგატებზე (ძრავი, ხიდი, გადაცემათა კოლოფი), 3 წელი ან 150000 კილომეტრი (რომელიც ადრე შესრულდება) სრულ ავტომანქანაზე, გარდა სწრაფცვეთადი ნაწილებისა და მასალებისა (ანტიფრიზი, ფრეონი, საბურავები, ელექტრონათურები, ელექტრომცველები, შუშის საწმენდი ჯაგრისები, გადაცემათა კოლოფის გადაბმულობის ქურო, გადაცემათა კოლოფის მომჭიმი საკისარი, გადაცემათა კოლოფის გადაბმულობის დისკი და საყრდენი დისკი)	5 წელი ძირითად აგრეგატებზე (ძრავი, ხიდი, გადაცემათა კოლოფი), 3 წელი ან 150000 კილომეტრი (რომელიც ადრე შესრულდება) სრულ ავტომანქანაზე, გარდა სწრაფცვეთადი ნაწილებისა და მასალებისა (ანტიფრიზი, ფრეონი, საბურავები, ელექტრონათურები, ელექტრომცველები, შუშის საწმენდი ჯაგრისები, გადაცემათა კოლოფის გადაბმულობის ქურო, გადაცემათა კოლოფის მომჭიმი საკისარი, გადაცემათა კოლოფის გადაბმულობის დისკი და საყრდენი დისკი)
ელექტროშუშები	მინიმუმ წინა ორი	4 ელექტროშუშა
აუცილებელი მოთხოვნა	სათადარიგო საბურავი	სათადარიგო საბურავი
აუცილებელი მოთხოვნა	მინიმუმ 2 უსაფრთხოების ბალიში	2 უსაფრთხოების ბალიში
აუცილებელი მოთხოვნა	კონდინციონერი	კონდინციონერი
აუცილებელი მოთხოვნა	აუდიოსისტემა	აუდიოსისტემა
აუცილებელი მოთხოვნა	საჭის გამაძლიერებელი	საჭის გამაძლიერებელი
აუცილებელი მოთხოვნა	ABS	ABS
აუცილებელი მოთხოვნა	4x4 მექანიკური ჩართვისა და გამორთვის ფუქნციით	4x4 მექანიკური ჩართვისა და გამორთვის ფუნქციით
აუცილებელი მოთხოვნა	საჭის მარეგულირებელი	საჭის მარეგულირებელი
აუცილებელი მოთხოვნა	სარკეების ელექტრო რეგულირება	სარკეების ელექტრო რეგულირება
აუცილებელი მოთხოვნა	ნაწარმოები არაუადრეს 2021 წლისა	ნაწარმოები არაუადრეს 2021 წლისა (2021 - 2022 წლების წარმოების)
აუცილებელი მოთხოვნა	წინა და უკანა ბამპერი	წინა და უკანა ბამპერი

- შემოთავაზებული ავტომობილები არის მარცხენა საჭიანი, ახალი ექსპლუატაციაში არმყოფი (გარბენი არაუმეტეს 200კმ), ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო და განბაჟებული. ამასთან, ჩვენი კომპანია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს ავტომანქანების შემსყიდველზე გადაფორმებას.
- შემოთავაზებული ავტომობილის ფერი: ნებისმიერი ფერი გარდა შავისა
  ავტომობილის მიწოდება მოხდება ეტაპობრივად : სსიპ საჯარო რეესტროს ეროვნული სააგენტოსთვის 55 (ორმოცდათხუთმეტი) ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიწოდება
- განხორციელდება არაუგვიანეს 2022 წლის 31 იანვრისა, ხოლო დარჩენილი რაოდენობის მიწოდება - არაუგვიანეს 2022 წლის 31 აგვისტოსი

  მიწოდება განხორციელდება თბილისში ან სხვა ქალაქებში მოთხოვნის შესაბამისად
-

CAUCASUS MOTORS LLC

Digitally signed by CAUCASUS MOTORS LLC
Date: 2021.12.22 16:35:39 +04'00'

ირაო
ვენის სადაზღვევო ჯგუფი
საქართველო, თბილისი 0160
ბოჭორიშვილის ქ. № 88/15
ტელ. +995 (32) 2 949 949
ფაქსი +995 (32) 2 36 93 92
office@irao.ge • www.irao.ge
88/15, Bochorishvili str.
0160 Tbilisi, Georgia
Tel. +995 (32) 2 949 949
Fax +995 (32) 2 36 93 92
office@irao.ge • www.irao.ge
IRAO VIENNA INSURANCE GROUP

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა
GB 4406/21

ვის: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ შპს კავკასუს მოტორსი-მ ს/კ 436031768 (შემდგომში „მიმწოდებელი"), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ს/კ 245428265 (შემდგომში „ბენეფიციარი") წინაშე იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულების შესრულების გარანტიის სახით, CON210000479 კონსოლიდირებული ტენდერი, სატრანსპორტო საშუალებების შესყიდვაზე, გასაფორმებელი ხელშეკრულების ფარგლებში, ჩვენ თანახმა ვართ, გავცეთ „მიმწოდებლის" სახელზე წინამდებარე გარანტია მის მიერ მოთხოვნილ თანხაზე.

ამასთან ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე „მიმწოდებლის" სახელით არაუმეტეს 5296 (ხუთიათასორასოთხმოცდათექვსმეტი) ლარის ოდენობის თანხაზე და უპირობოდ, გამოუთხოვადად ვკისრულობთ აღნიშნული თანხის გადახდის ვალდებულებას, „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, თქვენი პირველივე წერილობითი მოთხოვნისთანავე - მოთხოვნიდან არაუმეტეს 10 სამუშაო დღეში.

საგარანტიო უზრუნველყოფა ძალაშია 16,12,2021-დან და 11,10,2022 ჩათვლით, რის შემდეგაც მოთხოვნა საგარანტიო თანხის მიღებაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს-გან აღარ მიიღება.

გარანტი
სს „დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო"
ს/კ 205023856
მის: ქ. თბილისი, ვ. ბოჭორიშვილის ქ. 88/15

რამაზ ხვიჩია
ფინანსური დირექტორი

16/12/2021

IRAO VIENNA INSURANCE GROUP